ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3048228

ნომერი: AR1470071

თარიღი : 11.01.2017

გაცემის თარიღი : 02.02.2017

გაცნობის თარიღი : 02.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ივლისის №2725994 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 11 იანვარს №AR1470071 განაცხადით მომართა გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის

28 ივლისის №2725994 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 28 ივლისის №2725994 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფ. დიღომში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.72.14.040.469) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კომერციული ფართებით) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო ამავე სამსახურის 2016 წლის 24 აგვისტოს №2784638 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 24 აგვისტოდან 2018 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 2016 წლის 28 ივლისის №2725994 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის II, V, VI და VII სართულების გეგმებზე ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა. წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 2016 წლის 28 ივლისის №2725994 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე არსებული ტექნიკური შეცდომის გასწორება და წარმოდგენილია გასწორებული II, V, VI და VII სართულების საპროექტო გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები შეესაბამება შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციას და მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და 2016 წლის 28 ივლისის №2725994 ბრძანებით შეთანხმებული II, V, VI და VII სართულების გეგმები ჩაანაცვლოს განმცხადებლის მიერ 2017 წლის 11 იანვრის №AR1470071 განცხადებით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ივლისის №2725994 ბრძანებაში და შეთანხმებული II, V, VI და VII სართულების გეგმები ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 2017 წლის 11 იანვრის №AR1470071 განაცხადით წარმოდგენილი იმავე სართულების გეგმებით. სამსახურის 2016 წლის 28 ივლისის №2725994 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ივლისის №2725994 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.